# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 183

2018 წ. „07“ 12

ქ. თბილისი

**შპს ინტერბიზნესის აკადემიასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და $30^{1}$-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიას (ს/კ:201990881) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფინანსო სერვისები (1) | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456 | 51 | 66 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | ვებტექნოლოგიები (1) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში 040175 | 63 | 93 | ქართული | 12 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |
| 3 | საექთნო საქმე (1) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 090554 | 180 | 210 | ქართული | 90 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |
| 4 | ფარმაცია (სააფთიაქო) (1) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 090352 | 120 | 150 | ქართული | 100 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის №18 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე